თბილისის სამედიცინო აკადემია ელექტრონული გაზეთი

ძვირფასო მკითხველო,

მოხარული ვართ, გაგიზიაროთ თბილისის სამედიცინო აკადემიის (თსა) ელექტრონული გაზეთის რიგით მესამე გამოცემა.

ამ გამოცემაში გაეცნობით ინფორმაციას თსა-ში *2023* წლის მარტიდან *2023* წლის აგვისტოს ჩათვლით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

პატივისცემით,
თსა-ს საზოგადებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური

ამ გამოცემაში:

- **განათლება და პარტნიორობები**
- **თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა**
- **სტუდენტური ცხოვრება**
- **ბლოგები**

განათლება და პარტნიორობები

Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების გრანტი

პროექტი სახელწოდებით „LIFESTRAND" ითვალისწინებს საქართველოსა და უკრაინაში პოტენციურად მაღალი მილიტარისტული რისკის ზონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უნარ-ჩვევების სწავლება/ ტრენინგს.
პროექტი შეიქმნა, დაიგეგმა და წარიმართება უშუალოდ თსა-ს კოორდინირებით. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს, უკრაინის, ესპანეთისა და პორტუგალიის 10 უნივერსიტეტი: საქართველო (პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ალტე უნივერსიტეტი); უკრაინა (ტერნოპოლის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტი, პოლტავას სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ლუჰანსკის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი); ესპანეთი (სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი, ასოციაცია „სემერხენი"); პორტუგალია (პორტოს უნივერსიტეტი).
პროექტში ჩაერთვებიან მონაწილე უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი და სტუდენტები.

Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union

საგრანტო პროექტი„ინოვაცია და ტექნოლოგია მედიცინაში"

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი პროგრამის „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი – საქართველო I2Q (IBRD)" მიერ შექმნილი კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) ფარგლებში, დაფინანსდა პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი „ინოვაცია და ტექნოლოგია მედიცინაში".
პროექტი გულისხმობს მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამით განსაზღვრულ სწავლების პროცესში კვლევის კომპონენტების განვითარებას და მათი განხორციელებისას პრობლემაზე და პროექტზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენებას.

როგორ გავუზარდოთ სტუდენტებს მოტივაცია დამოუკიდებელი სწავლისათვის?

სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში არსებული სიახლეებისა და საკუთარი გამოცდილების გაზიარების მიზნით თსა-ში ინტერაქტიული შეხვედრა ჩატარდა.
შეხვედრაზე განიხილეს სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) გზამკვლევები და ჟურნალ "Medical Teacher"-ში გამოქვეყნებული უახლესი კვლევები სტუდენტთა მოტივაციის გაზრდის და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით.

Erasmus+ Staff Mobility

Erasmus+ Staff Mobility-ის ფარგლებში თბილისის სამედიცინო აკადემიამ (თსა) ანტვერპენის უნივერსიტეტის დელეგაციას უმასპინძლა. სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები ჩატარდა თსა-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის თემებზე: შეფასება სამედიცინო განათლებაში, შეფასება სამუშაო ადგილას (WPBA), თანატოლთა სწავლება, ტრენერების მომზადება.
შეხვედრებს უძღვებოდნენ ნელე მიჩელი - ანტვერპენის უნივერსიტეტის პროფესორი, ოჯახის ექიმთა ევროპული აკადემიიის (EURACT) პრეზიდენტი, მედიცინისა და ჯანდაცვის მეცნიერების საგანმანათლებლო საბჭოს წევრი, კრისტინ ვან დენ ბოგერდი ანტვერპენის უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის კოორდინატორი და კრისტოფ შოტერსი - კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის კოორდინატორი.
ტრენინგების ფარგლებში, მოწვეულმა სტუმრებმა თსა-ს ლექტორებს პრეზენტაციების, ჯგუფური დავალებებისა და როლური თამაშების მეშვეობით გააცნეს როგორც ანტვერპენის უნივერსიტეტის, ასევე, საერთაშორისო გამოცდილება კლინიკურ გარემოში სწავლების, შეფასების მეთოდებისა და უკუკავშირის მექანიზმების შესახებ. შეხვედრებზე ასევე განიხილეს თანატოლთა სწავლების მნიშვნელობა, ტრენერების მომზადების გზებისა და სასწავლო გარემოს შექმნის აუცილებლობა.

AMEE Annual Conference

მსოფლიოს სამედიცინო სკოლების კალენდარში ყველაზე დიდ მოვლენას - ევროპის სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) ყოველწლიურ კონფერენციას წელს გლაზგომ (შოტლანდია) უმასპინძლა. აკადემიის წარმომადგენლებს წარდგენილი ჰქონდათ ზეპირი პრეზენტაციები და ელექტრონული პოსტერი. ზეპირი მოხსენებები წარადგინეს ნინო სიხარულიძემ და მაკა ზარნაძემ. ხოლო, ელექტრონული პოსტერი წარადგინა კახა ბრეგვაძემ.

განათლება და პარტნიორობები

თსა ანტვერპენის უნივერსიტეტში

თბილისის სამედიცინო აკადემიის დელეგაციას ანტვერპენის უნივერსიტეტმა უმასპინძლა. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში ჩატარდა ვორქშოპი ბელგიის ზოგადი პრაქტიკის ექიმთა პოსტდიპლომური განათლების საკითხებზე.
ვიზიტი ასევე მოიცავდა შეხვედრებს ანტვერპენის უნივერსიტეტის საერთაშორისო დეპარტამენტის თანამშრომლებთან და ე.წ. GP practice-სს ანტვერპენის საუნივერსიტეტო კლინიკაში.

დერმატოლოგთა მსოფლიო კონგრესი სინგაპურში

კონგრესში ევროპის ამბასადორის, საერთაშორისო სპიკერისა და სესიის თანათავმჯდომარის სტატუსით მონაწილეობდა თსა-ს მედიცინის სკოლის დეკანი ლალი მეკოკიშვილი. მისი მოხსენება შეეხებოდა სტაფილოკოკური ინფექციების თანამედროვე მკურნალობასა და პრევენციას.
დერმატოლოგთა მსოფლიო კონგრესი 4 წელიწადში ერთხელ იმართება და წელს მას 12000-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა.

პედაგოგთა ტრენინგი

თსა-ში ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტის ორგანიზებით, პედაგოგებისთვის ტრენინგების კვირეული გაიმართა.
პედაგოგთა ტრენინგების მიზანია აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიონალიზაციის ხელშეწყობა სწავლა-სწავლების, შეფასების მეთოდებისა და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების მიმართულებით.

ლოძის სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია თსა-ში

Erasmus+ Staff Mobility პროგრამის ფარგლებში თბილისის სამედიცინო აკადემიამ (თსა) ლოძის სამედიცინო უნივერსიტეტის (პოლონეთი) დელეგაციას უმასპინძლა.
ვიზიტის მიზანი იყო სტუდენტებისთვის სამედიცინო და აკადემიური პროფესიონალიზმისა და კომუნიკაციის უნარების სწავლა-სწავლების პრაქტიკისა და მეთოდოლოგიის გავლა. ასევე, კლინიკური სწავლების ეტაპის, განსაკუთრებით კი რეაბილიტაციის სწავლების თავისებურებების გაცნობა და საერთაშორისო გარემოში კლინიკური მუშაობის გამოცდილების მიღება. ამასთან, სამუშაო შეხვედრები ორიენტირებული იყო უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

ERASMUS+ პროექტ SAFEMED+-ის მორიგი შეხვედრა

ERASMUS+ პროექტ SAFEMED+-ის კონსორციუმის მორიგ შეხვედრას ვილნიუსის უნივერსიტეტმა (ვილნიუსი, ლიეტუვა) უმასპინძლა. შეხვედრაზე განიხილეს პროექტის ფარგლებში გამოსაცემი წიგნის ელექტრონული ვერსია. ასევე, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ვირტუალური ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (Virtual OSCE) სცენარების მომზადებაში, რომელსაც ესპანელი კოლეგები უძღვებოდნენ.

განათლება და პარტნიორობები

Charité Universitätsmedizin Berlin-ისა და თსა-ს ერთობლივი პროექტი

Charité Universitätsmedizin Berlin-ისა და თბილისის სამედიცინო აკადემიის თანამშრომლობით ხორციელდება გერმანიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი „აპვ-ს როლი ონკოლოგიური დაავადებების განვითარებაში საქართველოში“.

პროექტის ფარგლებში თსა-ს გუნდი კვლევითი ვიზიტით იმყოფებოდა Charité Universitätsmedizin Berlin-ში (ბერლინი, გერმანია).

პროექტი მიზნად ისახავს ონკოლოგიური დაავადებების განვითარებაში ადამიანის პაპილომავირუსული ინფექციის ონკოგენურ პოტენციალზე მსჯელობას; ასევე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის, სკრინინგისა და მკურნალობის არსებული სიტუაციის განხილვას სკრინინგული მდგომარეობების და კვლევების შემდგომი განვითარების მიზნით.

პოლონელი პედიატრის ვიზიტი თსა-ში

Erasmus+ Staff Mobility პროგრამის ფარგლებში თსა-ში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ლოძის სამედიცინო უნივერსიტეტის (პოლონეთი) მედიცინის ფაკულტეტის ახალშობილთა პათოლოგიისა და ძვალ-სახსართა სისტემის პათოლოგიების დეპარტამენტის პედიატრი იაკუბ ნოვიცკი.

ვიზიტის მიზანი იყო კლინიკური სწავლების, განსაკუთრებით პედიატრიის ეტაპის თავისებურებების გაცნობა და საერთაშორისო გარემოში კლინიკური მუშაობის გამოცდილების მიღება.

იაკუბ ნოვიცკი შეხვდა თსა-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და პედიატრიის სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორებს. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა მიმოიხილეს კლინიკური სწავლების (განსაკუთრებით პედიატრიის) თავისებურებები საქართველოში და პოლონეთში.

თსა-ს თანამშრომლებმა AMEE-ს სპეციალისტის სტატუსი მოიპოვეს

თსა-ს კიდევ სამმა წარმომადგენელმა (ნინო სიხარულიძე, სალომე ხუბულავა, დეა გოდერძიშვილი) წარმატებით გაიარა სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) მიერ ორგანიზებული ოთხი ტრენინგ-კურსი და სამედიცინო განათლების სპეციალისტის სტატუსი მოიპოვა.

AMEE-ს მიერ შემოთავაზებული ტრენინგ-კურსები ESME - „ძირითადი უნარ-ჩვევები სამედიცინო განათლებაში“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინგეგრაციის გზაზე.

თსა-ს დელეგაცია ლოძის სამედიცინო უნივერსიტეტში

Erasmus+ Staff Mobility პროგრამის ფარგლებში ლოძის სამედიცინო უნივერსიტეტში (Lodz Medical University) სამუშაო მივლინებით იმყოფებოდნენ თსა-ს წარმომადგენლები: ნატალია კოჭლაშვილი (საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი) და სალომე ხუბულავა (ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრილოგის დეპარტამენტი). ვიზიტის ფარგლებში თსა-ს პერსონალის წევრებს საშუალება ჰქონდათ აქტიურად ჩართულიყვნენ სიმულაციური მედიცინის და ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის დეპარტამენტების საქმიანობაში.

ამასთან, სამუშაო შეხვედრები შედგა საერთაშორისო დეპარტამენტის, სამედიცინო განათლების, სამეცნიერო-კვლევითი განვითარების და და სადოქტორო პროგრამების მიმართულებების ხელმძღვანელებთან, სადაც მხარეებმა განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერების შესაძლებლობები და სამომავლო ერთობლივი აქტივობების მიმართულებები.

განათლება და პარტნიორობები

თურქი პროფესორების ვიზიტი თსა-ში

თბილისის სამედიცინო აკადემიამ თურქეთის, ქალაქ ტრაბზონის კარადენიზის ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებს უმასპინძლა. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის განყოფილების პროფესორი სედათ ქელეში, ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ნურჰან გუმრუქჩუოღლუ, ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ბეითულაჰ ერთემი და მკვლევარი და მწერალი რაჰმან აიჰანი.
მხარეებმა განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები. აღსანიშნავია, რომ უახლოეს პერიოდში უნივერსიტეტებს შორის გაფორმდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რაც საშუალებას მისცემს როგორც სტუდენტებს, ასევე აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით.

საერთაშორისო სტუდენტური კონგრესი

თსა-ს სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს (ბიო) სამედიცინო მეცნიერებათა საერთაშორისო სტუდენტურ კონგრესში - ISCOMS 2023, სადაც მათ ზეპირი და პოსტერული პრეზენტაციების მეშვეობით წარადგინეს განხორციელებულ კვლევით პროექტებში მიღებული შედეგები.
ISCOMS მიზნად ისახავს სტუდენტური კვლევების და მათი განხორციელებისას მიღებული შედეგების საერთაშორისო დისემინაციის ხელშეწყობას.

CyberPatient-ის დამფუძნებლის ვიზიტი თსა-ში

2021 წლიდან თბილისის სამედიცინო აკადემია სიმულაციური სწავლების მიმართულებით კომპანია CyberPatient-თან თანამშრომლობს. აღნიშნული პარტნიორობის ფარგლებში, 2023 წლის მაისში თბილისის სამედიცინო აკადემიამ სიმულაციური პლატფორმის CyberPatient-ის დამფუძნებელს დოქტორ კარიმ ქაიუმის უმასპინძლა. ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტის ქირურგიის პროფესორმა და სამედიცინო განათლების ექსპერტმა, თსა-ს პერსონალს და სტუდენტებს სიმულაციური სწავლების მეთოდების შესახებ თავისი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარა. ინტერაქციულ შეხვედრაზე პროფესორმა კარიმ ქაიუმიმ განიხილა სიმულაციური სწავლების მნიშვნელობა კომპეტენციებზე დაფუძნებულ განათლებაში.

მემორანდუმი ალექსანდრიის უნივერსიტეტთან

თსა-მ ალექსანდრიის უნივერსიტეტთან (ეგვიპტე) მემორანდუმი გააფორმა. ახალ პარტნიორთან თანამშრომლობა მოიცავს ისეთ შესაძლებლობებს როგორიცაა:
აკადემიური პერსონალის, მკვლევრებისა და თანამშრომლების გაცვლით პროექტებში მონაწილეობა; პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტების ტრენინგები შესაბამის ინსტიტუციებსა და სპეციალიზებულ ლაბორატორიებში.

შეხვედრა ჟურნალ ავერსის რედაქტორთან

რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანებს სამედიცინო ინფორმაცია გასაგებ ენაზე მივაწოდოთ?! ამ თემაზე სასაუბროდ თსა-მ ჟურნალ „ავერსის“ მთავარ რედაქტორს, მარი აშუღაშვილს უმასპინძლა.
მარი ამავდროულად თსა-ს კურსდამთავრებული და ალუმნი კლუბის წევრია, რომელმაც საკუთარი გამოცდილება მომავალ კოლეგებს გაუზიარა. მან ხაზი გაუსვა საზოგადოებისთვის ინფორმაციის სწორად და მარტივად მიწოდების მნიშვნელობას. როგორ უნდა ესაუბრონ მომავალი ექიმები არა მხოლოდ პაციენტებს, არამედ მათი ოჯახის წევრებს და ზოგადად მათ, ვისაც სამედიცინო თემა აინტერესებთ.

განათლება და პარტნიორობები

"როგორ ვიპოვო მოტივაციის წყარო?"

"როგორ ვიპოვო მოტივაციის წყარო?" - თსა-ს სტუდენტებისათვის ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც ფსიქოლოგი და ტრენერი ნინო ბუაძე უძღვებოდა. ინტერაქციითა და სხვადასხვა აქტივობით დატვირთულ შეხვედრაზე განიხილეს მოტივაციის რაობა, მექანიზმი და მოტივაციის წყაროები. შეხვედრის მსვლელობისას კი სტუდენტებმა შეიმუშავეს ინდივიდუალური სტრატეგია საკუთარი მიზნების მისაღწევად, რაც დაეხმარება მათ გამოიყენონ ეს უნარები ცხოვრებაში. ასევე, ისაუბრეს მოტივაციისა და თვითშეფასების კავშირსა და იმ დისპოზიციებზე, რომლებიც ხელს უშლიან დარჩნენ უფრო მოტივირებულები, სწავლის პროცესში.

საერთაშორისო პარტნიორების ვიზიტი თსა-ში

თსა-ს სამუშაო ვიზიტით Erasmus+-ის პროექტის SAFEMED+-ის პარტნიორი კატანიის უნივერსიტეტის პროფესორები კატია მანგანო, რობერტო დი მარკო და პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი მარიო ორელო სტუმრობდნენ.
შეხვედრის მიზანი იყო მხარეებს შორის გამოცდილების გაზიარება და სამომავლო თანამშრომლობის დასახვა. ვიზიტის ფარგლებში საუბარი შეეხებოდა SAFEMED+-ის პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს კომპეტენციაზე დაფუძნებული, სამედიცინო სიმულაციური სწავლების დანერგვას და განვითარებას მონაწილე უნივერსიტეტებში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა შორის სათანადო კლინიკური კომპეტენციების ჩამოყალიბებას. ამასთან, სამედიცინო განათლებაში ინოვაციების დანერგვას, გამოცდილების გაზიარებას და თანამედროვე მიდგომით კლინიკური ხაზის გაძლიერებას.

თსა-ს რეზიდენტი მსოფლიო კონგრესზე

თსა-ს მეანობა-გინეკოლოგიის პროგრამის რეზიდენტმა ანა ჯიბლაძემ ადამიანის რეპროდუქციის მე-19 მსოფლიო კონგრესზე მოხსენება წარადგინა. სამეცნიერო ნაშრომი - „სქესის შეფასება და ფსიქოსექსუალური თავისებურებები პაციენტებში ანდროგენრეზისტენტობის სინდრომის სხვადასხვა ფორმებით“ პროფესორ ჯენარო ქრისტესაშვილის თანაავტორობით და ხელმძღვანელობითაა შესრულებული. მომხსენებელმა 40-ზე მეტი შემთხვევა განიხილა და დამსწრე აუდიტორიის მხრიდან დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. გარდა ამისა, ანა ჯიბლაძემ პირადად მიიღო უმაღლესი შეფასება ადამიანის რეპროდუქციის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტ პროფესორ ანდრეა ჯენაზანისგან.

CIMED-ის ხელმძღვანელების ვიზიტი თსა-ში

თსა-ში მორიგი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ სამედიცინო განათლების ინოვაციების ცენტრის ხელმძღვანელები, პროფესორები ჟოზეტ დენეკენსი და ჰერმან ვან როსუმი (ბელგია, ანტვერპენი).
სამი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრები ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობით, სადაც განიხილებოდა პილოტურ რეჟიმში განხორციელებული ინოვაციური პროექტების შედეგები და მათი პროგრამაში შემდგომი იმპლემენტაციის გზები.

განათლება და პარტნიორობები

კონფერენცია "სამედიცინო სიმულაციები - მომავლის ხედვა"

თსა-ს ვიცე რექტორმა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, SAFEMED+ პროექტის კოორდინატორმა ია ავალიანმა და თსა-ს კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრისა და SAFEMED+ პროექტის ხელმძღვანელმა აკაკი სეფაშვილმა მონაწილეობა მიიღეს კონფერენციაში "სამედიცინო სიმულაციები - მომავლის ხედვა".
ონლაინ კონფერენცია ბუკოვინის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (უკრაინა) ეგიდით გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში აკაკი სეფაშვილმა წარადგინა მოხსენება SAFEMED+-ის დისემინაციის შესახებ. მიმოიხილა პროექტის ძირითადი მიზნები, შედეგები და გამოწვევები.

ევროპის დიგესტიური ქირურგიის საერთაშორისო კონფერენცია

თსა-ს აკადემიური პარტნიორობით და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა ევროპის დიგესტიური ქირურგიის (European Digestive Surgery 2023) მე-15 საერთაშორისო კონფერენცია.
კონფერენციის ფარგლებში განიხილებოდა დიგესტიური მედიცინის და ასევე, მასთან დაკავშირებული დარგების (ონკოლოგია, გასტროენტეროლოგია, რადიოლოგია, ტრანსპლანტოლოგია და სხვ.) ტრადიციული გამოწვევები და თანამედროვე მიღწევები.

შეიძლება თუ არა, რომ ჯანდაცვა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და რა უნდა გავაკეთოთ ამისთვის

„ჯანმრთელობა ყველასთვის“ – წელს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) ჯანმრთელობის მსოფლიო დღის 75-ე იუბილეს ამ სლოგანით ეხმიანება. სწორედ ამ თარიღს მიეძღვნა საჯარო ლექცია-დისკუსია, რომელიც თსა-ში გაიმართა და რომელსაც პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ექსპერტი ამირან გამყრელიძე გაუძღვა. "შეიძლება თუ არა, რომ ჯანდაცვა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და რა უნდა გავაკეთოთ ამისთვის" - ამ სათაურის ქვეშ ისაუბრა მომხსენებელმა ისეთ თემებზე როგორიცაა - 21-ე საუკუნის ძირითადი გამოწვევები ჯანდაცვაში, ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი მთავარი ფაქტორები, როგორ შეიძლება მათი პრევენცია და მართვა, უსამართლობა ჯანდაცვაში, მისი სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა საფუძვლები.

სოციალური პასუხისმგებლობა

"ბაბალეს" თსა-ს სტუდენტები ესტუმრნენ

"ბაბალეს" თსა-ს სტუდენტები ესტუმრნენ და ორგანიზაციის ბენეფიციარებთან ერთად სხვადასხვა სახალისო აქტივობაში მიიღეს მონაწილეობა. სტუდენტებმა და მოზარდებმა "ბაბალეს" პატარა სივრცე სასიამოვნოდ აახმაურეს.

„საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის“ წარმომადგენლები თსა-ში

თსა-მ „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის“ წარმომადგენლებსა და მათ ბენეფიციარებს უმასპინძლა. საჯარო ლექციას "ჩვენთან ერთად და არა ჩვენთვის“ უძღვებოდა ასოციაციის ჯანმრთელობის და სოციალური მიმართულების ხელმძღვანელი, „გიგოს ფონდის“ დირექტორი რუსუდან მღებრიშვილი.
ღონისძიებას ასევე ესწრებოდა დაუნის სინდრომის ასოციაციის დამფუძნებელი, სოციალური საწარმო „ბაბალეს“ სოციალური შედეგების მენეჯერი ნინო სიხარულიძე. მან ისაუბრა „ბაბალეს“ საქმიანობის შესახებ.

სოციალური პასუხისმგებლობა

„სოფლის ექიმის 6 დღე“ - ფოტოგამოფენა ბათუმში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თბილისის სამედიცინო აკადემიის მიერ განხორციელებული სოციალური პროექტის „სოფლის ექიმის 6 დღე“ ფოტოგამოფენას უმასპინძლა.

ფოტოგამოფენაზე დამთვალიერებელს შესაძლებლობა ჰქონდა, გასცნობოდა მედიცინის სტუდენტების პერსპექტივიდან დანახულ ექიმის პროფესიას, კერძოდ კი აჭარის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები ექიმების ყოფას და სამუშაო პროცესს. გამოფენას ესწრებოდნენ პროექტის მოაწილე სტუდენტები და ექიმები, აჭარის ჯანდაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები, ბათუმის უნივერსიტეტის რექტორი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სტუდენტები და გამოფენით დაინტერესებული მოქალაქეები. პროექტს გამოხმაურება მოჰყვა მედიის მხრიდან. გამოფენიდან პირდაპირი ჩართვა განხორციელდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გადაცემაში “პირადი ექიმი მარი მალაზონია”, გამოფენის შესახებ ინფორმაცია გაშუქდა ადგილობრივ მედიაში, კერძოდ, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში “დილის ტალღა” პროექტის შესახებ პირდაპირ ეთერში ისაუბრა პროექტის მონაწილე სტუდენტმა ნინო გაგუამ, ასევე, გამოფენა გაშუქდა აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლისა და 25-ე არხის საინფორმაციო გადაცემებში.

„სოფლის ექიმის 6 დღე“ მეორე სეზონი დაიწყო!

ფოტოპროექტი „სოფლის ექიმის 6 დღე“ დაიწყო. ტრანსდისციპლინურ სტუდენტურ ფოტოპროექტს თბილისის სამედიცინო აკადემია მეორედ ახორციელებს. სამოტივაციო წერილების შედეგად, საკონკურსო კომისიამ ექვსი სტუდენტი შეარჩია, რომლებიც, ამჯერად, გურიის მაღალმთიანი სოფლების ექიმების ყოველდღიურობას და სამუშაო პროცესს ფოტოფირის საშუალებით გააცნობენ საზოგადოებას.

ფოტოპროექტის მეორე ეტაპის მონაწილე სტუდენტები არიან: ნინუცი ფანგანი, ლიკა კეკელიძე, საბა ზაქრაძე, სალომე მუმლაძე, ლელა ყორიაული და თამაზ ოქრუაშვილი. ისინი პროექტის პირველ ეტაპზე ლელი ბლაგონრავოვასთან ერთად ფოტოგრაფიის საფუძვლების შეისწავლიან, ასევე დაეუფლებიან ამბის თხრობისა და წერის ტექნიკას. შემდგომ უკვე გაემგზავრებიან ექსპედიციაში, დააკვირდებიან და ფირზე აღბეჭდავენ მაღალმთიან გურიაში მომუშავე ექიმების ყოველდღიურობას, გააკეთებენ ჩანაწერებს, რომლის შედეგადაც, პროექტის დასკვნით ეტაპზე, გამოიცემა ჟურნალი და მოეწყობა ფოტოგამოფენა.

ფოტოპროექტის პირველი ეტაპი მაღალმთიან აჭარაში განხორციელდა. თსა-ს ექვსმა სტუდენტმა საზოგადოებას სოფელ სხალთაში, ღორჯომსა და ხულოში მცხოვრები ექიმების ყოველდღიურობა გააცნო და საკუთარი პერსპექტივიდან დანახული ექიმის პროფესია გაუზიარა.

სოციალური პასუხისმგებლობა

ევრომელანომა 2023

თბილისის სამედიცინო აკადემიისა (თსა) და საქართველოს ფოტოდერმატოლოგიისა და კანის კიბოს ასოციაციის ორგანიზებით კანის კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის „ევრომელანომა“ ფარგლებში, აჭარაში მოსახლეობის უფასო სკრინინგი ჩატარდა. მოსახლეობის უფასო სკრინინგს უზრუნველყოფდნენ სპეციალისტები თბილისიდან და ბათუმიდან. ასევე, გასინჯვებში მონაწილეობდნენ თსა-ს და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები. ბათუმის მასშტაბით 150-ზე მეტ სხვადასხვა ასაკის მოქალაქეს მიეცა გასინჯვის და ექიმებისგან კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა. გასინჯვის პირველი დღე ბათუმის უნივერსიტეტში ჩატარდა, რომელშიც თსა-ს მედიცინის სკოლის დეკანი ლალი მეკოკიშვილი და სტუდენტები იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო მეორე დღეს თსა-ს დეკანი, თბილისიდან მოწვეული პროფესორები და თსა-ს სტუდენტები ხულოში გაემგზავრნენ, სადაც მელანომას უფასო სკრინინგი ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ჩატარდა.

ირინე შოთაძის ინტერვიუ Forbes Woman-თან

თბილისის სამედიცინო აკადემიის დაფუძნებიდან 30 წელზე მეტი გავიდა, სასწავლებელს კი 3000-მდე კურსდამთავრებული ჰყავს. ჯანდაცვის მიმართულებით პროფესიონალების მომზადებასა და მედიცინის დარგში აკადემიის როლის ტრანსფორმაციაზე დღეს ირინე შოთაძე პროფესიონალების გუნდთან ერთად მუშაობს.
როგორ იქმნება სტუდენტზე ორიენტირებული გარემო და რა სტრატეგიული ამოცანები აქვს თბილისის სამედიცინო აკადემიას დღეს – #ForbesWoman-ის რედაქცია აკადემიის გუნდზე, სამომავლო გეგმებსა და სამედიცინო განათლების ტრანსფორმაციაზე აკადემიის რექტორს, ირინე შოთაძეს ესაუბრა.

უფასო სკრინინგი თსა-ში

თსა-ში ჰიპერტენზიის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოსახლეობის უფასო სკრინინგი ჩატარდა. სკრინინგს უზრუნველყოფდნენ თსა-ს პროფესორი, კარდიოლოგი ანა რეხვიაშვილი, თსა-ს კურსდამთავრებული, პროფესორი, ექიმი კარდიოლოგი ზვიად კერესელიძე და თსა-ს კურსდამთავრებული, კარდიოლოგი, თსა-ს მოწვეული ლექტორი იმედა მაისურაძე. პროფესორებს ასისტირებას უწევდნენ თსა-ს სტუდენტები, რომლებიც სკრინინგში მონაწილეებს უზიარებდნენ ინფორმაციას ჰიპერტენზიის, მისი მკურნალობის და პრევენციის შესახებ.

სტუდენტური ცხოვრება

უჩვეული მენტალური დაავადებები და მოვლენები

რამდენად მსგავსი ან განსხვავებულია ერთმანეთისგან ჩვენი ტვინის მიერ შექმნილი გარემოს სურათები? თსა-ს სამეცნიერო კლუბისა და დენდის კლუბის სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები და პოსტერ-პრეზენტაციები უჩვეული მენტალური დაავადებების და მოვლენების შესახებ, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან თუ როგორ ქმნის ტვინი გარემო სამყაროს სურათს.

დედამიწის დღე

თსა-ს ეკო კლუბის ორგანიზებით დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების სტუმარი იყო ორგანიზაცია „ტენეს“ ხელმძღვანელი სანდრო ლილუაშვილი, რომელმაც სტუდენტებს გაუზიარა გამოცდილება ნარჩენების გადამუშავების შესახებ.
„პლანეტარული ჯანმრთელობა და ზოგადად, ეკოლოგიაზე ზრუნვა აქტუალური და მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, გაგვიჩნდა იდეა თსა-შიც დაგვეარსებინა ეკო კლუბი“ - საბა ზაქრაძე, თსა-ს ეკო კლუბის ხელმძღვანელი.

სტუდენტური ცხოვრება

თურქეთი

თსა-ს კიდევ 31 სტუდენტი გაემგზავრა გაცვლითი პროგრამით თურქეთში.
ბილატერალური გაცვლითი პროგრამით, სტუდენტები სტაჟირებას ათათურქის უნივერსიტეტისა (ერზურუმი) და რეჯეფ თაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის (რიზე) კვლევით კლინიკებში გაივლიან.
სტაჟირების სამი კვირას სტუდენტები შემდეგ დეპარტამენტებში გაატარებენ: მეან-გინეკოლოგია, სასწრაფო გადაუდებელი მედიცინა, პედიატრია, შინაგანი მედიცინა,ზოგადი ქირურგია, კარდიოლოგია.

პლანეტარული ჯანმრთელობის კორელაცია მედიცინასთან

რა არის პლანეტარული ჯანმრთელობა და რატომ არის ეს ასე გადამწყვეტი ჩვენი, როგორც ჯანდაცვის პროფესიონალებისათვის? - ეკო კლუბის ორგანიზებით თსა-ში ამ თემაზე სემინარი გაიმართა. ღონისძიებას, რომელიც გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს მიეძღვნა უძღვებოდნენ თსა-ს ინსტიტუციური კულტურის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მაკა მაღლაკელიძე და თსა-ს სტუდენტი რიშუ შაჰი. მათ აუდიტორიას გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება პლანეტარული ჯანმრთელობის მიმართულებით.
შეხვედრის ფარგლებში მაკა მაღლაკელიძემ მიმოიხილა მის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის მთავარი მიზანი იყო შეესწავლა რა გავლენას ახდენს ჰაერის დაბინძურება ასთმისა და ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (ფქოდ) გამწვავებასა და ჰოსპიტალიზაციაზე.

ლიეტუვა

თსა-ს 20 სტუდენტი გაცვლითი პროგრამით კლაიპედაში (ლიეტუვა) გაემგზავრა.
სტუდენტები ბილატერალური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტაჟირებას სხვადასხვა დეპარტამენტში გაივლიან: კარდიოლოგია,ოფთალმოლოგია, რეანიმატოლოგია,ნეიროქირურგია,ენდოკრინოლოგია მეან-გინეკოლოგია,პედიატრია,ტრავმატოლოგია, ანესთეზიოლოგია, ზოგადი ქირურგია.

პროექტი "ლაბ-ორატორი"

თბილისის სამედიცინო აკადემიის (თსა) სტუდენტების და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) სტუდენტური თვითმმართველობის განათლების კომიტეტის ორგანიზებით, პროექტ ,,ლაბ-ორატორის" ფარგლებში ჩატარდა ლექცია თემაზე: ,,რეოლოგია კლინიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში". პროექტის მიზანი საზოგადოებაში რეოლოგიისა და ბიორეოლოგიის შესახებ ცნობიერების ამაღლებაა. პროექტი სამ ეტაპად ჩატარდა, პირველ ეტაპზე დაინტერესებულმა სტუდენტებმა მოისმინეს ლექცია, რომლის შედეგადაც შეირჩა 20 საუკეთესო სტუდენტი. ,,ლაბ-ორატორის" მეორე ეტაპს ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ლაბორატორიამ უმასპინძლა, სადაც სტუდენტებმა გაიარეს პრაქტიკული მეცადინეობა. ხოლო, მესამე, დასკვნით ეტაპზე თსა-ში გაიმართა სტუდენტური კონფერენცია, სადაც პროექტის მონაწილე სტუდენტებმა ჯგუფურად წარმოადგინეს პრეზენტაციები და მათგან საუკეთესო სპეციალურმა ჟიურიმ გამოავლინა. ასევე, კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ მოხსენებები წარადგინონ რეობიომედ 2023-ზე.

სტუდენტური ცხოვრება

ევროპის სტუდენტური გაერთიანების საბჭო

თსა-მ ევროპის სტუდენტური გაერთიანების საბჭოს 84-ე შეხვედრის მონაწილეებს უმასპინძლა. თსა-ს სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია მენტალური ჯანმრთელობის შესახებ. მიმოიხილეს ის სერვისები და შესაძლებლობები, რასაც აკადემია სტუდენტებს სთავაზობს და სტუდენტების ექსტრა-კურიკულური აქტივობები, რაც მათი და თსა-ს პარტნიორი, სოციალურ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ბენეფიციარების კეთილდღეობას უწყობს ხელს.

ESU აერთიანებს 41 სახელმწიფოს ეროვნული სტუდენტური გაერთიანების 20 მილიონზე მეტ სტუდენტს და წარმოადგენს ევროკავშირის ახალგაზრდულ ოფიციალურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს კვოტა ხმის მიცემის უფლებით ევროპარლამენტში და მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპულ კომისიასთან, იუნესკოსთან, ევროპის საბჭოსთან, ბოლონიის პროცესის განმახორციელებელ ჯგუფთან და სხვა.

ღია კარის დღეები

თსა-ში ყოველ წელს ტარდება ღია კარის დღეები აბიტურიენტებისთვის. აკადემიამ მარტში, აპრილსა და მაისში მედიცინით დაინტერესებულ აბიტურიენტებს უმასპინძლა. მათ მონაწილეობა მიიღეს სიმულაციურ ტრენინგში "ერთი დღე კლინიკაში“ და სრულიად უსაფრთხო გარემოში სამედიცინო სიმულატორებსა და მულაჟებზე ჩაატარეს სამედიცინო პროცედურები. ჯამში, 2023 წელს 100-ზე მეტმა აბიტურიენტმა გაიცნო თსა.

ალუმნი კლუბის დაარსება

თსა-ში კურსდამთავრებულთა (ალუმნი) კლუბი დაარსდა. კლუბის მიზანია გააერთიანოს თსა-ს სტუდენტები, კურსდამთავრებულები და ადმინისტრაციული პერსონალი, ჩამოაყალიბოს და განავითაროს სოციალური და პროფესიული კავშირები კლუბის წევრებს შორის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის გამოყენებით წარმართოს სხვადასხვა თემაზე ორიენტირებული აქტივობები.

ნეირომეცნიერების კონფერენცია

თსა-მ ნეირომეცნიერების კონფერენციას უმასპინძლა. ღონისძიება დენდი თსა-ს ნეიროქირურგიული კლუბის ორგანიზებით გაიმართა. კონფერენცია მიზნად ისახავდა აუდიტორიისთვის ინფორმაციის მიწოდებას ნევროლოგიის, ფსიქიატრიის, ქცევის მეცნიერების, ფსიქოლოგიის და ნეიროქირურგიის შესახებ.

მსოფლიო ჩემპიონატი ბაკურიანში

თსა-ს სტუდენტები მოხალისეებად იმყოფებოდნენ ბაკურიანში, რომელმაც უმასპინძლა მსოფლიო ჩემპიონატს ფრისტაილში, სნოუბორდსა და ფრისკიში. ჩვენი სტუდენტები გადანაწილებული იყვნენ სათხილამურო ტრასებზე და მეთვალყურეობას უწევდნენ სპორტსმენებს.

ჩემპიონატი საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) ეგიდით ჩატარდა და მასში მონაწილეობდა 42 ქვეყნის (ავსტრია, შვეიცარია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ნიდერლანდები, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, ჩინეთი, იაპონია, კანადა, აშშ და სხვ.) 700-მდე სპორტსმენი.

არითმიის ზამთრის სკოლა

საქართველოს არითმიის სკოლის ორგანიზებითა და თბილისის სამედიცინო აკადემიის მხარდაჭერით, ბაკურიანში არითმიის ზამთრის სკოლის მორიგი სესია გაიმართა. ზამთრის სკოლაში მონაწილეობდა საქართველოს ხუთი სამედიცინო უნივერსიტეტის 60-მდე სტუდენტი. ორდღიანი სესიის ფარგლებში სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პრაქტიკულ სემინარსა და ვორკშოპში. ასევე, გაიმართა ინტელექტუალური თამაში ელექტროკარდიოგრაფიის წაკითხვაში, რომელშიც თსა-ს სტუდენტებმა ლაშა აგულაშვილმა და სოფიო შამუგიამ საპრიზო ადგილები დაიმსახურეს.

კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიება

თსა-ს 2023 წლის კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საზეიმო ღონისძიება გაიმართა. დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია 140-ზე მეტ კურსდამთავრებულს მიენიჭა! ვულოცავთ ყველა მათგანს და ვუსურვებთ წარმატებას კარიერულ გზაზე!

ბლოგები

სტუდენტები

თავგადასავლებით სავსე სემესტრი / A Semester Full of Adventures

თათია ცნობილაძე / Tatia Tsnobiladze თსა-ს სტუდენტი / TMA's Student თავგადასავლებით სავსე სემესტრი მე თათია ვარ. გამიჭირდება, თუმცა ვეცდები...

blogspot.com https://tmablogger.blogspot.com/2023/08/semester-full-of-adventures.html

ბერლინის სამედიცინო ჰარმონია / Berlin Medical Harmony

მარიამ ჯორბენაძე / Mariam Jorbenadze თსა-ს სტუდენტი / TMA's Student ბერლინის სამედიცინო ჰარმონია მე ვარ მარიამ...

tmablogger.blogspot.com https://tmablogger.blogspot.com/2023/08/berlin-medical-harmony_30.html

დასაწყისი - "ექიმის სახლი" / The Beginning -"Doctor's House"

ნინუცა ფანგანი , თსა-ს სტუდენტი / Ninutsa Phangani, TMA student დასაწყისი - "ექიმის სახლი" ვისმენთ...

blogspot.com https://tmablogger.blogspot.com/2023/05/beginning-doctors-house.html



ემოციებზე დაფუძნებული გამოცდილება / An Experience Based on Emotion

ხატია ხატიაშვილი / Khatia Khatiashvili თსა-ს სტუდენტი / TMA Student ემოციებზე დაფუძნებული გამოცდილება გაზაფხულის სემესტრი მაზარიკის უნივ...

blogspot.com https://tmablogger.blogspot.com/2023/08/experience-based-on-emotion.html

გინეკოლოგიური ოდისეა / A Gynecological Odyssey

ელენე ლიპარტია / Elene Lipartia თსა-ს სტუდენტი / TMA Student გინეკოლოგიური ოდისეა Labas! (გამარჯობა!) მე ვარ ელენე, თსა-ს მეხუთე კურსის სტუდ...

blogspot.com https://tmablogger.blogspot.com/2023/09/gynecological-odyssey.html

პერსონალი

ლურჯ-წითელი წრე / Blue-Red Circle

ბერიკა კიკნაძე - კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე Berika Kiknadze - Deputy Head of Clinical Skills Center ლურჯ...

blogspot.com https://tmablogger.blogspot.com/2023/03/blue-red-circle.html

მომხიბვლელი ნაიმეგენი / Charming Nijmegen

მაგდა ტვილდიანი/Magda Tvildiani Horizon Europe საგრანტო ოფისის კოორდინატორი/ Horizon Europe Grants Office Coordinator მომხიბვლელი ნაიმეგენი ...

blogspot.com https://tmablogger.blogspot.com/2023/07/charming-nijmegen.html

ელექტრონულ გაზეთზე მუშაობდნენ:

სარედაქციო ჯგუფი - თამარ გორგოძე
ლანა ცხოვრებაშვილი
მარიამ გაბრიჩიძე

დიზაინი - ლანა ცხოვრებაშვილი